ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 26

"9" თებერვალი 2018 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სატელეფონო კავშირით სარგებლობის ხარჯების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №280 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილი იქნას ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სატელეფონო კავშირით სარგებლობის ხარჯების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №280 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ თანამდებობის პირთა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ზოგიერთ მოხელეთა მობილური ტელეფონებით სარგებლობისთვის გასაწევი ხარჯების ყოველთვიური ლიმიტი" (დანართი №2) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

დანართი N2
დამტკიცებულია
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2018 წლის 9 თებერვლის №26 განკარგულებით

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ თანამდებობის პირთა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ზოგიერთ მოხელეთა მობილური ტელეფონებით სარგებლობისათვის გასაწევი ხარჯების ყოველთვიური ლიმიტი

№	დასახელება	ყოველთვიური ლიმიტი ლარობით
1.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით
2.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	150
3.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	150
4.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	90
5.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	90
6.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	80
7.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა წევრი	40
8.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი	60
9.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე	40
10.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გარდა საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების სამდივნოს უფროსებისა)	30
11.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	60

შენიშვნა:

ზემოაღნიშნულ ცხრილში აღნიშნული პირების საზღვარგარეთ სამსახურებრივი მივლინების პერიოდში, მათი როუმინგით მომსახურება ხორციელდება ამ დანართით დამტკიცებული ლიმიტის ფარგლებში.